

JEL Classification: H2; H71

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.010>

დაქირავებით დასაქმებულ პირთა საგადასახადო ტვირთის შესახებ

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
daswreba@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო ტვირთი, საშემოსავლო გადასახადი, სამუშაო ადგილის ღირებულება.

ციტირებისთვის: არჩვაძე ი. (2019) დაქირავებით დასაქმებულ პირთა საგადასახადო ტვირთის შესახებ, *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7, გვ. 79–86. <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.010>

საგადასახადო ტვირთი საკმაოდ მაღალი სიზუსტით ახასიათებს სახელმწიფოს მიერ ბიზნესსა და მოსახლეობაზე ფისკალური ზეწოლის მასშტაბებს. გადასახადების ზომას, განაკვეთს, პერიოდულობას, ამოღების წესსა და საგადასახადო მექანიზმთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზოგადოების წევრთა, სამეწარმეო სუბიექტთა ქმედებებისა და განზრახვათა მოტივაციაში, შეუძლიათ საგრძნობლად დააჩქარონ ან პირიქით, შეანელონ ეკონომიკური ზრდის და შესაბამისად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის დინამიკაში. ამ ასპექტით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საგადასახადო ტვირთის ზომის დადგენას მაკროეკონომიკის დონეზე¹, არამედ მის განსაზღვრას ეკონომიკის ცალკეული სუბიექტებისა და ინსტიტუტების, გადასახადებისა და გადასახადების გადამხდელთა ტიპების, რეგიონებისა და მრავალი სხვა ასპექტის მიხედვით. ერთ-ერთ ასეთ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ *დაქირავებით დასაქმებულ ფიზიკურ პირთა საგადასახადო ტვირთი*. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს პროგრესიული *საშემოსავლო გადასახადი*, საფეხუროვანი საგადასახადო ტარიფების პირობებში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუ როგორია საშუალოდ აღნიშნული პროგრესიული გადასახადების თანაფარდობა

შემოსავლებთან, კერძოდ კი შემოსავლების კონკრეტულ სახეობასთან – დაქირავებით დასაქმებულან მიღებულ შემოსავლებთან (დარიცხულ, ე.წ. ბრუტო-ხელფასთან).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან, იბეგრებიან პროპორციული გადასახადით 20 პროცენტის ოდენობით (საქართველოს კანონი 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი ნ, პ. 81). საშემოსავლო გადასახადი – ეს პირდაპირი გადასახადია. ამ ასპექტით, თითქოს ყველაფერი გარკვეულია – ხელფასი იბეგრება პროპორციული, 20-პროცენტისანი საშემოსავლო გადასახადით. მაგრამ მოსახლეობა იხდის არაპირდაპირ გადასახადებსაც. თანაც თავიანთი მოცულობით, არაპირდაპირი გადასახადების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში თითქმის 1.5-ჯერ აღემატება პირდაპირი გადასახადებით მობილიზებულ შემოსავლებს. — 2018 წელს საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული 10506.3 მლნ. ლარის გადასახადებიდან პირდაპირი გადასახადების მოცულობა შეადგენდა 4424.9 მლნ. ლარს (42.1%), ხოლო არაპირდაპირი გადასახადებისა – 6081.4 მლნ. ლარს (57.9%) (საქართველოს ხაზინის ანგარიში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები 2018 წელს, ფ. N1)².

დამატებული ღირებულების გადასახადი უმსხვილესია საქართველოში მოქმედ გადასახადებს შორის, მის წი-

¹ საქართველოში ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა 2018 წელს პირვანდელი შეფასებით, 41077 მლნ. ლარია, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მოცულობა კი – 9.6490 მლრდ. ლარი. საგადასახადო ტვირთი 23.6 პროცენტი. ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების მოცულობა 10.5063 მლრდ. ლარია, ხოლო საგადასახადო ტვირთი – 25.6 პროცენტი.

² ევროკავშირში, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობა თითქმის თანაბარია – პროპორცია (2017 წ. მდგომარეობით) შეადგენს, შესაბამისად, 49.1 : 50.9-ზე [6].

ლად მოდის, 2018 წლის ფაქტობრივი მდგომარეობით, გადასახადების დაახლოებით 42.1 პროცენტი³. ბოლო წლებში ასევე მკვეთრად იზრდება აქციზის აბსოლუტური სიდიდე და მისი წილი გადასახადებში (2018 წ. — 14.0%). დასახელებული გადასახადების ძირითადი გადამხდელები, როგორც წესი, ფიზიკური პირები არიან.

აღნიშნულ გადასახადებზე აქცენტს ვაკეთებთ იმის გამო, რომ მათი განაკვეთი და სიდიდე უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის რეალურ მსყიდველობით უნარიანობაზე.

გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე 2018 წელს შეადგენდა 5892.5 მლნ. ლარს, საიდანაც დაახლოებით 3/4 დღგ-ზე მოდის და 1/4 – აქციზზე. მათ საბოლოო ჯამში, მომხმარებელი იხდის საკუთარი შემოსავლებიდან. თუმცა მომხმარებლები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

თავის მხრივ, ფიზიკური პირების შემოსავლები შეიძლება დავეყოს ორ ნაწილად: შემოსავლები შრომის ანაზღაურებიდან (ხელფასებიდან) და ყველა სხვა სახის შემოსავალი.

იურიდიული პირები ასევე მასშტაბურად მოიხმარენ დღგ-ისა და აქციზის შემცველ საქონელსა და მომსახურებას – ავეჯი იქნება ეს, ავტომობილი, საწვავი თუ მრავალი სხვა.

ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს დღგ-ისა და აქციზის მოცულობაში ზემოხსენებულ ოთხი ჯგუფის წილს (1. ფიზიკური პირების მიერ მიღებულ ხელფასებში; 2. ფიზიკური პირების ხელფასის გარდა სხვა ფულად შემოსავლებში; 3. კერძო სტრუქტურების მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში; 4. საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულებაში). ამ სტრუქტურის განსაზღვრით ჩვენ შევძლებთ დავადგინოთ, არაპირდაპირი გადასახადების (დღგ + აქციზი) რა ნაწილი მოდის უშუალოდ დაქირავებით დასაქმებული პირების ხელფასებზე.

შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების წილი დაახლოებით 50 პროცენტია. – საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს 940.9 მლნ. ლარის საშუალო თვიური შემოსავლებიდან 465 მლნ. ლარი (49.4%) მოდიოდა ხელფასების წილად. იმის გათვალისწინებით, რომ ხელფასების ზრდა საგრძნობლად უსწრებს მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) (Papava, Silagadze, 2019) ზრდას, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2018 წელს აღნიშნული თანაფარდობა კიდევ უფრო მაღალი იქნება (შედარებისათვის: ხელფასების წილი შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში: 2010 წ. — 43.8%, 2015 წ. — 49.0%).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მოსახლეობის მიერ გადა-**


ხდილი დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის ნახევარი ხელფასების ხარჯზე იფარებოდა, მეორე ნახევარი კი – სხვა სახის ფულადი შემოსავლებით. ეს ნიშნავს, რომ დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასების საგადასახადო ტვირთი დღგ-სა და აქციზის მოცულობის ნახევართ უნდა „დავამძიმოთ“.

მაგრამ ამის განხორციელებამდე დასადგენია, გადახდილ არაპირდაპირ გადასახადებში რა წილის იკავებენ ფიზიკური და იურიდიული პირები?

სტატისტიკური მონაცემები მთლიანი სამამულო პროდუქტის მოხმარების სტრუქტურის მიხედვით იძლევა წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც შინამეურნეობათა წილი მოხმარებულ მთლიან სამამულო პროდუქტში 59.3%-ია, სახელმწიფო ორგანოებისა – 16.6%, ხოლო კერძო სექტორისა – 24.1%. ჩვენც ასეთივე პროპორციით უნდა მივუდგეთ საქონლისა და მომსახურების განაწილებას აღნიშნული სექტორების მიხედვით.

დიაგრამა

გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე საქართველოში 2018 წელს მომხმარებელთა ინსტიტუციური ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



აღნიშნული სტრუქტურა აბსოლუტურ განზომილებაში შემდეგ პარამეტრებს მიიღებს.

³ 2018 წლის მდგომარეობით, აბსოლუტური მოცულობით მხოლოდ ერთი, დამატებული ღირებულების გადასახადი, 2.0 მლნ. ლარით აღემატება ყველა სახის პირდაპირი გადასახადების ჯამს (შესაბამისად, 4426.9 მლნ. ლარი და 4424.9 მლნ. ლარი) (წყარო: www.mof.ge).

ცხრილი 1

გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე საქართველოში 2018 წელს მომხმარებელთა ინსტიტუციური ჯგუფების მიხედვით (მლნ. ლარი)

	სულ	შინამეურნეობები		შმაკო	კერძო სექტორი
		ხელფასი	სხვა ფულადი შემოსავლები		
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	5892.5	2227.4	2233.3	182.7	1249.2

აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ხელფასის საგადასახადო ტვირთი, ანუ ყოველ ერთ ლარ დარიცხულ ხელფასზე რა რაოდენობის საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადი, აგრეთვე აქციზი მოდის.

ხელფასის წლიური ფონდი 2018 წელს 11603.2 მლნ. ლარია, ანუ მისი 20 % (საშემოსავლო გადასახადი) შეადგენს 2320.1 მლრდ. ლარს.

ზემოთ მოტანილი ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში ხელფასის წილის პროპორციით გაანგარიშებული დამატებული ღირებულებისა და აქციზის მოცულობა, რომელიც ხელფასის პროპორციულად იფარება დაქირავებულთა ფულადი შემოსავლებიდან (ხელფასიდან), შეადგენს 2227.4 მლნ. ლარს. მთლიანობაში, საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასის საგადასახადო ტვირთი იქნება: $(2320.1 + 2227.4) : 14471.8 = 39.2\%$ -ს.

გამოდის, რომ საქართველოში ხელფასის საგადასახადო ტვირთი 39.2 პროცენტია.


ბოლო წლებში გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მოსახლეობის ხელფასის ტიპის შემოსავლები. — 2018 წელს ხელფასის ფონდი, შინამეურნეობათა კვლევის საფუძველზე, გაიზარდა 49.7 პროცენტით, მაშინ როდესაც არაპირდაპირი გადასახადები (დღგ+აქციზი) გაიზარდა 73.6 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (2018 წელს 2012 წელთან შედარებით) ხელფასის მთლიანი საგადასახადო ტვირთი გაიზარდა 36.9 პროცენტიდან 39.6 პროცენტამდე, ანუ 2.7 პუნქტით. ეს საგადასახადო ტვირთის საკმაოდ საგრძნობი, 7.3-პროცენტიანი მატებაა ბოლო 6 წლის მანძილზე.

როგორია აღნიშნული ტვირთის დინამიკა და რამდენად მაღალი ან დაბალია აღნიშნული გადასახადი, თუკი მას ევროპულ დონეს შევადარებთ?

სანამ შედარებაზე და ხელფასების საგადასახადო ტვირთის განსხვავების მასშტაბებზე ვისაუბრებთ, უნდა

დიაგრამა 2

დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასის საგადასახადო ტვირთი საქართველოში 2017 და 2018 წლებში (პროცენტი)




გვახსოვდეს, რომ ჩვენგან განსხვავებით, ევროპის ყველა ქვეყანაში მოქმედებს სოციალური გადასახადი (ჩვენთან გაუქმებულია 2008 წლიდან), რომელსაც იხდიან დაქირავებულები და დაქირავებულები. თანაც, გადასახადების მთლიან მოცულობაში პირდაპირ, არაპირდაპირ და სოციალურ გადასახადებს უკვე წლებია, თითქმის თანაბარი წილი – დაახლოებით 1/3–1/3 – უკავია [8;18]. ჩვენთან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სოციალური გადასახადის არასებობის პირობებში, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის თანაფარდობა დაახლოებით 2/5 : 3/5-ზეა.

საქართველოში დასაქმებულთა შემოსავლების საგადასახადო ტვირთზე დიდ გავლენას ახდენს შემოსავლების, კეთილდღეობისა და, ზოგადად, ეკონომიკური განვითარების დონე, რომელთა მიხედვითაც იგი ევროპის ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

დიაგრამა 3

საქართველოს ზოგიერთი ინდიკატორის თანაფარდობა ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებელთან 2018 წელს (პროცენტი; ევროკავშირი = 100)



საქართველო ევროკავშირის დონეს ჩამორჩება მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი სამამულო პროდუქტით; მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით – 3.6-ჯერ, ლარისა და ევროს ოფიციალური კურსით კი – 7.8-ჯერ. საშუალო ხელფასით ჩამორჩენაც თვალსაჩინოა – 5.6-ჯერ და მეტად.

საშუალო ხელფასით ჯერადი ჩამორჩენა საქართველოში ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გამოხატულებას მრავალ ასპექტში ნახულობს. კერძოდ, საქართველოში ყოველ დაქირავებულ დასაქმებულს საშუალო ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე: დაქირავებულთა მიერ ყოველ დაქირავებულზე გადახდილი სოციალური გადასახადი ევროპის 15 ქვეყანაში⁴, საშემოსავლო გადასახადი – ევროკავშირის 11 ქვეყანაში⁵, დაქირავებულთა მიერ გადახდილი სოციალური გადასახადი – 9 ქვეყანაში⁶.


რა ხელფასიც აქვს საქართველოში ყოველ დაქირავებულ დასაქმებულს, იმდენს იხდიან ყოველ დასაქმებულზე: სოციალურ გადასახადს – დამსაქმებელი ირლანდიაში, საშემოსავლო გადასახადს – დაქირავებით დასაქმებული ესპანეთსა და სოციალურ გადასახადს – დაქირავებით დასაქმებული სლოვენიაში.

იმის გამო, რომ საქართველოში შრომის ანაზღაურება საშუალო ევროპულზე ჯერადად დაბალია და თვით ერთნაირი დონის საგადასახადო ტვირთის შემთხვევაში დაქირავებით დასაქმებულების ხელთ დარჩენილი შემოსავლების მყიდველობითი უნარიანობა კიდევ უფრო დაბალი იქნება. კერძოდ, საქართველოში 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო საათობრივი ანაზღაურება მხოლოდ 2.4 ევროა, მაშინ როდესაც ევროკავშირში ანალოგიური მაჩვენებელი 27.4 ევროა, ევრო-

ზონაში კი კიდევ უფრო მაღალი – 30.6 ევრო. [7; 27] გამოდის რომ დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო საათობრივი ანაზღაურება საქართველოში საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით 11.5-ჯერ, ხოლო ევროზონის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით – თითქმის 12.9-ჯერ დაბალია.

აღნიშნული სხვაობა განპირობებულია დასახელებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონით და ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით. თუ მოვახდენთ სხენებული განსხვავების ელიმინირებას სამომხმარებლო ფასებით (რომელთა მიხედვითაც საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება საშუალოევროპულ, ისევე როგორც, საშუალო მსოფლიო ფასებს), დავინახავთ, რომ საშუალო ხელფასებს შორის განსხვავება გაცილებით ნაკლები, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი იქნება. ამასთან, სხვაობა უფრო მკვეთრად შემცირდება ევროკავშირის ყველაზე მაღალშემოსავლიან ქვეყნებთან შედარებით, რაც მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 4



როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, თუ საშუალო ხელფასს გავიანგარიშებთ ფასების რეალური დონის გათვალისწინებით, მოწინავე ქვეყნებთან საქართველოს ჩამორჩენა საგრძნობლად შემცირდება (გერმანიასთან – 2.2-ჯერ, იტალიასთან – 2.0-ჯერ, საბერძნეთთან – 1.7-ჯერ...); ამასთან, არსებითად არ შეიცვლება თანაფარდობა ყ. სსრკ-ის ქვეყნებთან (ესტონეთის გარდა) და ე.წ. სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი საშემო-

⁴ საფრანგეთი (დამსაქმებლის სოციალური გადასახადი ერთ დაქირავებულზე აღემატება საქართველოში ერთი დაქირავებით დასაქმებულის საშუალო ხელფასს 4.7-ჯერ), შვედეთი (შესაბამისად, 3.5-ჯერ), ბელგია და ავსტრია (3.4-3.4-ჯერ), ფინეთი (2.5-ჯერ), ნიდერლანდები (2.4-ჯერ), გერმანია და იტალია (2.3-2.3-ჯერ), ლუქსემბურგი (2.1-ჯერ), ესპანეთი (2.0-ჯერ), საბერძნეთი (1.3-ჯერ), გაერთიანებული სამეფო (1.2-ჯერ), ესტონეთი (1.1-ჯერ).

⁵ დანია (4.9-ჯერ), შვედეთი (2.7-ჯერ), ნიდერლანდები (2.4-ჯერ), ლუქსემბურგი და გერმანია (2.2-2.2-ჯერ), ფინეთი (2.1-ჯერ), ბელგია და ავსტრია (2.0-2.0-ჯერ), იტალია (1.7-ჯერ), გაერთიანებული სამეფო (1.4-ჯერ), ირლანდია (1.2-ჯერ).

⁶ გერმანია (2.5-ჯერ), საფრანგეთი (2.3-ჯერ), ბელგია და ავსტრია (2-2-ჯერ თითოეულში), ლუქსემბურგი და ნიდერლანდები (1.7-1.7-ჯერ), ფინეთი, სლოვენია და გაერთიანებული სამეფო (1.1-1.1-ჯერ თითოეულში).

⁷ ჩვენი გაანგარიშებით, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებს, 2018 წელს საქართველოში სამომხმარებლო ფასების დონე შეადგენდა აშშ-ის ანალოგიური დონის 39 პროცენტს და საშუალო ევროპული დონის (ევროკავშირის) 47.9 პროცენტს.

სავლო გადასახადი საქართველოში პროპორციულია, ხოლო ყველა ზემოხსენებულ ქვეყანაში – პროგრესიული, შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთი ამ ქვეყნებში (სოციალური გადასახადის ჩათვლით) საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია. მაგალითად, გერმანიაში ინდივიდუალური გადასახადის გადამხდელის წლიური შემოსავალი, რომელიც აღემატება 2605233 ევროს, იხვერება 45 პროცენტით (გადასახადის გადამხდელ მეუღლეებზე იგივე განაკვეთი ვრცელდება წლიურ შემოსავალზე, რომელიც აღემატება 521065 ევროს) [9]. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი ჩამორჩენა მათთან, საშუალო ხელფასის რეალური მყიდველობითი უნარიანობით, კიდევ უფრო ნაკლები იქნება...

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოში, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, უკვე მეთორმეტე წელია, გაუქმებულია სოციალური გადასახადი (2008 წლის 1 იანვრიდან), მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სავალდებულო გადასახადებსა და შენატანებში სოციალური გადასახადის წილი დაახლოებით 40 პროცენტია. ამასთან, დასახელებული გარემოების გამო, ევროკავშირის ქვეყნებში **სამუშაო ადგილის ღირებულება და დასაქმებულის (ბრუტო) ხელფასი** – განსხვავებული ცნებებია (მათ შორის „მურმანის ეკალივით“ დამსაქმებლის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადი), მაშინ როდესაც საქართველოში ეს ცნებები (დამსაქმებლისათვის სოციალური გადასახადის არარსებობის გამო) იდენტურია. აღნიშნული გადასახადი ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საკმაოდ მაღალია.

ცხრილი 2

დამსაქმებელთა სოციალური გადასახადის წილი სამუშაო ადგილის ღირებულებაში⁸ ევროპის ქვეყნებში 2018 წელს

	%		%
საფრანგეთი	33.0	ფინეთი	18.2
სლოვაკია	26.0	უნგრეთი	17.4
ჩეხეთი	25.4	პოლონეთი	17.1
ესტონეთი	24.8	გერმანია	16.2
ლიტვა	24.6	ბულგარეთი	16.1
შვედეთი	23.9	ნიდერლანდები	15.9
ბელგია	23.3	ხორვატია	14.7
ავსტრია	23.3	სლოვენია	13.9
ესპანეთი	23.0	ლუქსემბურგი	13.1
იტალია	23.0	კვიპროსი	10.3
საბერძნეთი	20.0	გაერთიანებული სამეფო	10.0
ლატვია	19.4	ირლანდია	9.7
პორტუგალია	19.2	მალტა	9.1
რუმინეთი	19.0	დანია	0.5

⁸ სამუშაო ადგილის ღირებულებაში იგულისხმება დარიცხულ (ბრუტო) ხელფასს დამატებული დამქირავებლის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადი.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მხოლოდ ერთ ქვეყანაში – **დანიაშია** დამქირავებლის სოციალური გადასახადი სიმბოლურ (0.5%-იან) დონეზე; სხვა ქვეყნებში ის საკმაოდ მაღალია და მხოლოდ 2 ქვეყანაშია (ირლანდია, მალტა) 10 პროცენტზე დაბალი, **საფრანგეთში** კი იგი სამუშაო ადგილის ღირებულების 1/3-ს იკავებს (დაქირავებით დასაქმებულის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადის ჩათვლით კი – თითქმის ნახევარს – 49.4%-ს). დანია კი, რომელიც მოკრძალებულად გამოიყურება დამსაქმებლის (და დასაქმებულის) სოციალური გადასახადის წილით სამუშაო ადგილის ღირებულებაში, ევროკავშირში პირველ ადგილზეა საშემოსავლო გადასახადის წილით მთლიან (ბრუტო) ხელფასში – 35.5 პროცენტი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყანაში, ისევე როგორც ევროპის ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში, მოქმედებს საშემოსავლო გადასახადების პროგრესიული შკალა, ყველაზე მაღალშემოსავლიანების დაბეგვრის განაკვეთი 56 პროცენტია. კიდევ უფრო მაღალია საშემოსავლო გადასახადის ზედა განაკვეთი მაღალშემოსავლიანებისთვის შვედეთში – 60%, გაერთიანებულ სამეფოსა და ფინეთში – 62-62%, ბელგიაში – 64% [5].


ხელფასის ფონდში საშემოსავლო გადასახადის საქართველოს მაჩვენებელზე (20%) მაღალი წილი ევროკავშირის ქვეყნებში დანიის გარდა კიდევ მხოლოდ 2 სახელმწიფოშია – შვედეთსა (24.8%) და იტალიაში (22.7%). დანარჩენ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის წილი დარიცხულ ხელფასში საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე დაბალია (მაგალითად, ბულგარეთში იგი მხოლოდ 8.6 პროცენტია, საფრანგეთში – 6.5%, ხოლო კვიპროსზე – 1.1%). ყოველივე ეს იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ამ ქვეყანაში მოქმედებს პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი, რომლის უმაღლესი განაკვეთი საქართველოში მოქმედ პროპორციულ განაკვეთზე მნიშვნელოვნად მაღალია.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში სოციალურ გადასახდს არ იხდის არც დამქირავებელი და არც დაქირავებული. ეს იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ამ სახის გადასახადების წილი ერთეული სამუშაო ადგილის ღირებულებაში საარაკოდ მაღალია: მაგალითად, საფრანგეთში იგი შეადგენს 49.4 პროცენტს, პოლონეთში – 34.9 პროცენტს, ლიეტუვაში – 31.4 პროცენტს, იტალიაში – 30.3 პროცენტს, ესტონეთში – 27.5 პროცენტს და ა.შ. (Eurostat. Tax Revenue statistics:7). ამიტომ საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ხელფასებისა და სამუშაო ადგილის ღირებულების საგადასახადო ტვირთის შედარებისას აღნიშნული გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ.

მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ სამუშაო ადგილისა და მისი კომპონენტების სიმბოლური აღნიშვნები:

დიაგრამა 5

საშემოსავლო გადასახადის წილი მთლიან ხელფასში
ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში 2018 წელს
(პროცენტი)



- W_p - სამუშაო ადგილის ღირებულება;
- S_{e-r} - დამსაქმებლის სოციალური გადასახადი;
- S_{e-e} - დაქირავებულის სოციალური გადასახადი;
- C_b - დაქირავებით დასაქმებულის დარიცხული (ბრუტო) ხელფასი;
- C_n - დაქირავებით დასაქმებულთა რეალური ნეტო ხელფასი;
- T_w - დაქირავებით დასაქმებულის საშემოსავლო გადასახადი;
- T_i - დაქირავებით დასაქმებულის მიერ გადახდილი არაპირდაპირი გადასახადები შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე.

მოტანილი აღნიშვნებიდან ჩანს, რომ $W_p = C_b + S_{e-r}$, ხოლო $C_b = C_n + S_{e-e} + T_w + T_i$.

აღნიშნული ელემენტების მიხედვით საგადასახადო ტვირთი საქართველოსა და ევროკავშირში არაერთგვაროვნადაა კომპონირებული. კერძოდ,

საქართველოში:

$$(T_w + T_i) : (C_n + T_w + T_i)$$

ევროკავშირში კი:

$$(T_w + T_i + S_{e-r} + S_{e-e}) : (C_n + T_w + T_i + S_{e-r} + S_{e-e})$$

ანუ, უფრო გამარტივების შემთხვევაში, საქართველოში:

$$(T_w + T_i) : C_b;$$

ევროკავშირში:

$$(T_w + T_i + S_{e-r} + S_{e-e}) : (C_b + S_{e-r}).$$

იმისდა მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელს რას შევუდარებთ - პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახა-

დების (საშემოსავლო გადასახადი + დღგ + აქციზი) წილს მთლიან ხელფასში, თუ ყველა გადასახადის წილს სამუშაო ადგილის ღირებულებაში (რომლის მიხედვით ევროპის ქვეყნებში საქართველოსაგან განსხვავებით, ასევე მონაწილეობენ დამქირავებლისა და დაქირავებულის სოციალური გადასახადებიც), ჩვენ საგადასახადო ტვირთის სიდიდით აღმოვჩნდებით ან *ლიდერებში* (პირველი პოზიციის მიხედვით) ან - *აუტსაიდერებში* (მეორე პოზიციის მიხედვით). კერძოდ, ევროკავშირისა და საქართველოს გაერთიანებულ სიაში საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის ჯამის თანაფარდობით მთლიან დარიცხულ ხელფასთან საქართველო მეორე ადგილზე აღმოჩნდება (39.2%; პირველ ადგილზე - დანია - 40.7%), ხოლო სამუშაო ადგილის ღირებულების რეალური საგადასახადო ტვირთის მიხედვით - 24-ე ადგილზე (პირველ ადგილზე - საფრანგეთი - 56.7%, ბოლოზე კი კვიპროსი - 23.4%).

აქვე კიდევ ერთხელ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საუბარია დაქირავებით დასაქმებულთა შემოსავლების საგადასახადო ტვირთის განსაზღვრაზე და არა ყველა წყაროდან ყველა სახის შემოსავლების საგადასახადო ტვირთზე, რომელიც სხვა ფაქტორებით ყალიბდება და იზომება.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოციალური გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულია ბიზნესიც და სამუშაო ძალაც, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში რეალური საგადასახადო ტვირთი მაინც საქართველოზე დაბალია (კვიპროსი - 23.4%,

მალტა – 27.4%, ირლანდია – 31.5%, გაერთიანებული სამეფო – 35.1%, ბულგარეთი – 39.1%).

იმის გათვალისწინებით კი, რომ საქართველოში საშუალო ხელფასი ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს

ვერადად ჩამორჩება, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ დაქირავებით დასაქმებულთათვის საგადასახადო ტვირთი არა მარტო აბსოლუტურად, არამედ შეფარდებითაც საქართველოში გაცილებით მძიმეა, ვიდრე ევროკავშირში...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი [The Tax Code of Georgia. In Georgian].
2. საქართველოს კანონი 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ [The Law of Georgia on the State Budget of 2019. In Georgian].
3. საქართველოს საზღვარის ანგარიში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები 2018 წელს, ფ. N1 [The Treasury Report of Georgia Consolidated Budget Receipts in 2018, N1. In Georgian].
4. Papava V., Silagadze A., 2019. "How the Term the "Gross Domestic Product" should be translated into Georgian." Globalization and Business, No. 7, pp. 203-204. (In Georgian.)
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. – www.mof.ge. [Datas of the Ministry of Finance of Georgia - www.mof.ge. In Georgian].
6. ნამჩავაძე ბ. (2017). რომელ ქვეყანაშია ყველაზე დაბალი გადასახადები. – Forbes Georgia; 27.12.2017 წ. [Nanchavadze b. (2017). Which country has the lowest taxes- Forbes Georgia; 27.12.2017. In Georgian].
7. Eurostat. Tax Revenue statistics.
8. James Rogers | Cécile Philippe, The Tax Burden of Typical Workers in the EU 28—2018. Institut Économique Molinari, Paris-Bruxelles;
9. Viktor Trasberg. Dynamics of European Tax Structures (2013). Tartu.
10. Germany Income Taxes and Tax Laws.
https://www.google.com/search?source=hp&ei=vZvnXNTKB43qrgSsz4fYDQ&q=Tax+system+in+Germany&oq=Tax+system+in+Germany&gs_l=psy-ab.12..0l3j0i22i30l6.7512.14990..17687...1.0..0.219.2825.0j20j2....2..0....1..gws-wiz.....6..35i39j0i131j0i67.y2eTQggFZb0
11. Налоговые системы в странах Евросоюза. Минск, 2007 [Tax systems in the EU countries. Minsk, 2007. In Russian].
12. Лыкова, Л. Н., Букина, И. С. (2015). Налоговые системы зарубежных стран. Москва, «Юрайт» [Lykova, L.N., Bukina, I.S. (2015) Tax systems of foreign countries. Moscow, «Yurayt». In Russian].
13. www.geostat.ge
14. www.imf.org

JEL Classification: H2; H71

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.010>

TAX BURDEN OF EMPLOYED PERSONS

JOSEPH ARCHVADZE

Doctor of Economic Science,
Kutaisi University, Georgia
daswreba@yahoo.com

KEYWORDS: TAX, INCOME TAX, SALARY TAX, WORK PLACE VALUE.

For citation: Archvadze J. (2019), Tax Burden Of Employed Persons, *Globalization And Business*, №7, pp. 79-86. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.010>

SUMMARY

Tax burden demonstrates very precisely the scope of fiscal pressure on business and population by the state. In Georgia physical persons are taxed as by direct taxes (income tax is 20%), as indirect taxes. In the end they have much influence on population's purchasing power.

More than population's cash income comes from the salaries, accordingly income tax, VAT and excise could be considered as the tax burden of salaries. **According to the calculation by this principle, the salary tax burden in Georgia is 39.2 %.** In the last 7 years (In comparison with the year 2012) because of the rapid growth of indirect taxes, the mentioned burden has been increased by 2.7 point.

To compare the salary tax burden with the European Union countries it is complicated, because since 2008 there is annulled social tax in Georgia, which is paid by employee and

employer in Europe. There could be made the comparison if according to the European countries we compare the tax burden value with single workplace, which consists of social taxes paid by salary receivers and employers (contributions).

Accordingly, **what we will compare** with Georgian index- the share of direct and indirect taxes in whole salaries, or all tax shares in workplace value, Georgia with tax size will be on leader position (according to the first position) or in outsiders (according to the second position). That means, that in joint list of the EU and Georgia, with the sum of income tax and VAT in comparison with accrued salary, Georgia will be **on the second place** (39.2%; on the first place is Dania-40.7%) and by the real tax burden of workplace value - **on 24th place** (On the first place is France-56.7%, on the last place is Cypros-23.4%).